

კოდერ დეკოდერები მაღალი დაცულობის კოდირებით



თავისებურებანი:

- მაღალი დაცულობის ორიგინალური დინამიური კოდირება;
- 4 ბრძანების გადაცემა დისტანციურად;
- 28-მდე გადამცემის მუშაობა ერთ მიმღებთან;
- ერთი გადამცემის მუშაობა რამოდენიმე მიმღებთან;
- ანტიკანერი;
- ანტიგრაბერი;
- 72 ბიტანი კოდი;
- საიდუმლო სწავლება;
- გადამცემის კვების ელემენტის ზღვრული დონის ინდიკაცია;

გამოყენება:

- ბინის, ოფისის, ავტოფარების, სეიფის კარის საკეტები;
- ჭიშკრის ავტომატური გამღებ/დამკეტები;
- ავტომობილების უგასაღებო შეღწევისა და დაცვის სისტემები;
- ავტომობილების იმობილიზაცია;
- ამოცნობისა და იდენტიფიკაციის სისტემები;

ანტიკანერი

ანტიკანერის ფუნქცია ეყრდნობა დეკოდერის დაბლოკვას **30** წამით, **20** არასწორი გზავნილის მიღების შემთხვევაში.

ანტიგრაბერი

ანტიგრაბერის ფუნქცია ეყრდნობა, სინქრონიზაციის მთვლელის გაზრდით, ვალიდურობის ფანჯრის გადაწევას, ერთი და იმავე სიდიდით, როგორც მიმღებში, ისე გადამცემში, ბოლო გზავნილიდან **12** წამის შემდეგ. შედეგად, გრაბერის მიერ „მიტაცებული“ კოდები აღმოჩნდება ვალიდურობის ფანჯრის გარეთ, და დეკოდერი მათზე არ ირეაგირებს.

საიდუმლო სწავლება

გადამცემების სწავლება და დეკოდერის მეხსიერებიდან ამოშლა ხდება დეკოდერზე ჯამპერის დამოკლებით. სწავლების დროს გადაიცემა სპეციალური სასწავლო გზავნილი, რომელიც არ შეიცავს კოდის გასაღებს, რაც თავის მხრივ გამორიცხავს გრაბერის მიერ, სწავლების პროცესში გასაღების „მიტაცებას“.

საიმედობა

კოდერებისა და დეკოდერების ურთიერთცნობისა და სინქრონული მუშაობისათვის საჭირო ყველა მონაცემი ინახება კოდერისა და დეკოდერის ენერგოდამოუკიდებელ მეხსიერებაში. გარდა ამისა ყველა კრიტიკული მონაცემი დუბლირებულია, რაც გამორიცხავს გადამცემების ხელახალი სწავლებისა და რესინქრონიზაციის საჭიროებას.

გადამცემების ენერგომოხმარება

გადამცემების მუშაობისათვის საჭირო კვების ძაბვა უნდა იმყოფებოდეს **2.7-6.2** ვ დიაპაზონში. სიმშვიდის დროს, მის მიერ მოხმარებული დენი ნაკლებია **1** მკა-ზე, რაც უზრუნველყოფს გადამცემის მუშაობას რამოდენიმე წლის განმავლობაში ელემენტის შეცვლის გარეშე.

კავშირის არხი

კავშირისთვის გამოიყენება **433.92** მგჰც სიხშირის მატარებელი. გადამცემში გამოიყენება ზედაპირულ აკუსტიკურ ტალღური რეზონატორი, ხოლო მიმღებში რეზონატორები ლაზერული ტრიმინგით, რაც უზრუნველყოფს სიხშირის სტაბილურობას ტემპერატურასა და კვების ძაბვაზე დამოუკიდებლად, და შედეგად სტაბილურ და საიმედო მუშაობას. გაშლილ ადგილას წვდომის მანძილი შეადგენს არანაკლებ **30** მეტრისა.